თბილისი, 15.09.2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის (დამტკიცებულია თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 სექტემბრის #76 დადგენილებით) სხდომის

ოქმი (შემაჯამებელი) N3

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიორგი თუმანიშვილი (თავმჯდომარე)
2. მაია კოპალეიშვილი (მოადგილე)
3. გიორგი ჩაკვეტაძე (მდივანი)
4. მაია ივანიძე
5. კობა ყალიჩავა

დღის წესრიგი:

1. კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენა ფარული კენჭისყრით

განხილულ იქნა საკონკურსო კომისიის პირველი სხდომის და გასაუბრების შედეგები.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის ერთი აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 2 კანდიდატი.

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

1. გიორგი თუმანიშვილი (თავმჯდომარე)
2. მაია კოპალეიშვილი (მოადგილე)
3. გიორგი ჩაკვეტაძე (მდივანი)
4. მაია ივანიძე
5. კობა ყალიჩავა

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის ერთი აკადემიური თანამდებობა

1. ლორია ხათუნა

   მომხრე: 5

2. ქარდავა ეკატერინე

   მომხრე: 0

დასაბუთება:

კომისიის მსჯელობისა და შეფასების შედეგად კონკურსატ ხათუნა ლორრიას სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა შეფასდა დადებითად. მისი მონაწილეობა კვლევითი პროფილის განვითარების, საგანმანათლებლო/კვლევითი პროცესების ინტეგრაციისა და ფაკულტეტის სასწავლო პოტენციალის გაძლიერების თვალსაზრისით ასევე შეფასდა მაღალი კომპონენტით. სასწავლო პროცესების სრულყოფილად წარმართვის მხრივ მან ასევე მიიღო მაღალი შეფასება. აღნიშნული შეფასებათა გათვალისწინებით და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გამოცხადებულ ვაკანსიაზე არჩეული იქნა ხათუნა ლორრიას კანდიდატურა.

კომისიის მსჯელობისა და შეფასების შედეგად კონკურსატ ეკატერინე ქარდავას სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა შეფასდა დადებითად. მისი მონაწილეობა კვლევითი პროფილის განვითარების, საგანმანათლებლო/კვლევითი პროცესების ინტეგრაციისა და ფაკულტეტის სასწავლო პოტენციალის გაძლიერების თვალსაზრისით ასევე შეფასდა მაღალი კომპონენტით. კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გამოცხადებულ ვაკანსიაზე არჩეული არ იქნა ეკატერინე ქარდავას კანდიდატურა.

სისხლის სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის ერთი აკადემიური თანამდებობა - კონკურსში მონაწილეობდა 1 კანდიდატი.

სისხლის სამართლის მიმართულებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობდნენ:

6. გიორგი თუმანიშვილი (თავმჯდომარე)
7. მაია კოპალეიშვილი (მოადგილე)
8. გიორგი ჩაკვეტაძე (მდივანი)
9. მაია ივანიძე
10. კობა ყალიჩავა

სისხლის სამართლის მიმართულებით - ასოცირებული პროფესორის ერთი აკადემიური თანამდებობა

3. აქუბარდია ირა

   მომხრე: 5

დასაბუთება:

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ პრეტენდენტი ირა აქუბარდია საკონკურსო კომისიამ საკონკურსო ფორმა N4-ის მოთხოვნებიდან გამომდინარე დადებითად შეაფასა, რისი საფუძველიც გახლავთ მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა სისხლის სამართლის სფეროში. აგრეთვე, მასთან გასაუბრების შედეგად კომისია ღრმად დარწმუნდა, რომ პრეტენდენტ ირა აქუბარდიას აქვს მდიდარი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება. იგი აქტიურად მუშაობს რამოდენიმე სამეცნიერო ნაშრომზე და უახლოეს მომავალში გეგმავს, რომ განახორციელოს სამეცნიერო კვლევები სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან სამართლებრივ ასპექტებზე. ყოველივე ზემოთქმული დიდად შეუწყობს ხელს თსუ-ის როგორც საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის სრულყოფასა და სამეცნიერო წინსვლას. შესაბამისად, ნათელია, რომ საკონკურო კომისიისათვის გამარჯვებული პრეტენდენტის ირა აქუბარდიას კანდიდატურა სრულად მისაღებია.

გადაწყვიტეს:

ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ლორია ხათუნა (კატეგორია „ბ“). სისხლის სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის ერთ აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა აქუბარდია ირა (კატეგორია „ა“).

კომისიის წევრები:

გიორგი თუმანიშვილი (თავმჯდომარე) ----------

მაია კოპალეიშვილი (მოადგილე) ----------

გიორგი ჩაკვეტაძე (მდივანი) ----------

მაია ივანიძე ----------

კობა ყალიჩავა ----------